პოზიცია: IB (MYP) ფსიქოლოგთა გუნდის ხელმძღვანელი

სამუშაო ადგილი: თბილისი, კ. ქუთათელაძის 10ა

დასაქმების ტიპი: სრული განაკვეთი 09:00-17:00

ჩვენს შესახებ:

,,ევროპული სკოლა“ არის საერთაშორისო CIS აკრედიტებული სკოლა, რომელიც სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებს შესაფერის სასწავლო პროგრამებს სთავაზობს. საბავშვო ბაღი, ქართული პროგრამა, საერთაშორისო ბაკალავრიატი (PYP /MYP / DP) და ამერიკული უმაღლესი სკოლა - ჩვენი პროგრამების საამაყო ჩამონათვალია.

,,ევროპული სკოლა“ ამჟამად 500-ზე მეტ დასაქმებულს აერთიანებს და მუდმივად მზარდი ორგანიზაციაა.

პოზიციის მიზანი:

ფსიქოლოგთა გუნდის ხელმძღვანელი საბაზო საფეხურის პროგრამისთვის

(MYP) ხელმძღვანელობს და მართავს პროგრამის ფსიქოლოგიის განყოფილებას,

რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის მაღალი ხარისხის ფსიქოლოგიური

კონსულტაციის მიწოდებას. ეს როლი მოიცავს ინდივიდუალური და ჯგუფური

კონსულტაციების ჩატარებას, ფსიქოლოგთა გუნდის მართვას და მათთან

თანამშრომლობას, პედაგოგებთან და მშობლებთან მჭიდრო თანამშრომლობას

სტუდენტების გონებრივი და ემოციური კეთილდღეობის მხარდასაჭერად.

ძირითადი პასუხისმგებლობები:

- MYP ფსიქოლოგიის გუნდის ხელმძღვანელობა და კონტროლი.
- გუნდისპროფესიული განვითარების მხარდაჭერა და უზრუნველყოფა.
- ფსიქოლოგიის კათედრის ყოველდღიური ოპერაციების კოორდინაცია და მართვა.
- ფსიქოლოგიის კათედრისთვის სკოლის მისიისა და ღირებულებების შესაბამისი პროცედურების შემუშავება/განხორციელება.
- მოსწავლეებთან ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციების ჩატარება ემოციური, ფსიქოლოგიური და ქცევითი საკითხების გადასაჭრელად.

- მასწავლებლებთან, მშობლებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან აქტიური თანამშრომლობა, რათა შეიქმნას მხარდამჭერი გარემო მოსწავლეებისთვის.
- ინდივიდუალური პროგრამის შედგენა სტუდენტებისთვის, რომლებიც საჭიროებენ დამატებით ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას.
- ფსიქოლოგთა მმართველ გუნდთან აქტიური თანამშრომლობა, რათა უზრუნველყოფილი იქნას ფსიქოლოგიური სერვისების თანმიმდევრულობა და ხარისხი MYP-ის მასშტაბით.
- მოსწავლეების საჭიროებების მონიტორინგი და ფსიქოლოგების გუნდთან ერთად განახლებული მიდგომების შემუშავება.
- მოსწავლეთა საჭიროებების გამოვლინების მიზნით შესაბამისი ფსიქოლოგიური შეფასებების ჩატარება და შეფასების შედეგების შესაბამისი ინტერვენციების შემუშავება.
- ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მიმღები მოსწავლეების აღრიცხვა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესების მონიტორინგი.
- ჩანაწერებისა და ანგარიშების წარმოება და შენახვა სკოლის პოლიტიკისა და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად.
- საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ თემებზე ტრენინგებისა და სემინარების ჩატარება მასწავლებლებისთვის, მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის.
- უშუალო ხელმძღვანელის მიერ დაკისრებული სხვა მოვალეობების შესრულება.

კვალიფიკაცია:

განათლება:

- მაგისტრის ხარისხი ფსიქოლოგიაში, კონსულტაციაში ან მასთან
- დაკავშირებულ სფეროში.
- ლიცენზირება/სერთიფიკაცია: მოქმედი პროფესიული ლიცენზია ან სერთიფიკატი
- ფსიქოლოგიაში ან ფსიქოკონსულტაციაში.
- გამოცდილება: მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება სკოლაში ან საგანმანათლებლო
- გარემოში, ხელმძღვანელ პოზიციაზე მუშაობს მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება.

უნარები:

- ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე;
- კომპიუტერულ პროგრამებში მუშაობის უნარები;
- ძლიერი ლიდერობისა და მართვის უნარები;
- კარგი კომუნიკაციისა და ინტერპერსონალური უნარები.

- მრავალფეროვანი კულტურის მქონე გარემოში ეფექტური მუშაობის

უნარი.

- მიმდინარე ფსიქოლოგიური პრაქტიკისა და ინტერვენციების ცოდნა.
- სენსიტიური და კონფიდენციალური ინფორმაციის დამუშავების უნარი.

აპლიკაციის პროცესი:

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი რეზიუმე, აღნიშნულ ელ-ფოსტაზე: vacancy@europeanschool.ge.